პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ.
№ 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ., № 24
მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— იტალიის მთავრობაში ორი ადგილი [illegible] სტებს.

— ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე ბონარ ლოუმ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავრობას სურს მშვიდობიანი ცხოვრება და ინდოეთის ყველა კლასებთან შეთანხმებული მუშაობა.

— საბერძნეთში აღმოაჩინეს სახელმწიფო შეთქმულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე კონსტანტინეს ძმა.

№ 248 შაბათი, 28 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 248

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

I

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, გადაატრიალა რა ძირიან ბუდიანათ საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული სოციალ ეკონომიური ურთიერთობანი მთელი მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე, დასაწყისი მისცა სახელმწიფოთა ძველი სისტემის გვერდით ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას მშრომელთა დიქტატურის ნიადაგზე. და უკანასკნელი ხუთი წლის ისტორია, თამამათ შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ძველისა და ახლის, საბჭოთა რესპუბლიკებისა და მთელ დანარჩენ ბურჟუაზიულ სამყაროს შორის წარმოებულ ბრძოლის ისტორიას. სამხედრო პერიოდი ამ ბრძოლის დათავდა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით. ასეთი ფინალი იყო შედეგი ძალთა უაღრესი დაჭიმვის და უდიდესი კოორდინაციის. დიდი როლი ითამაშა იმავე დროს თვით გეოგრაფიულმა მდებარეობამ ამ რესპუბლიკების, რომლებიც შეადგენენ ერთიან ტერიტორიალურ მასსივს. ეჭვს გარეშეა, რომ ამავე პერიოდში აღმოცენებულმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ჰუნგრეთში და ბავარიაში განიცადეს დამარცხება სწორეთ ბურჟუაზიული, მათდამი მტრულათ განწყობილი, მათ წინაალმდეგ მეომარი სახელმწიფოების **უშუალოთ** გარემოცვის პირობებში. საერთო ძალების უაღრესათ დაკავშირება, ერთი დამრტყმელი რკინის მუშტის შექმნა, გაადვილებული ხსენებული გეოგრაფიული მდგომარეობით—იყო თავდები იმის, რომ ათ დღეში ჩვენ გვექნება ბედნიერება ვიდღესასწაულოთ უკვე ხუთი წლის თავი ოქტომბრის დიდი რევოლუციის. მაგრამ მომავალი სადღესასწაულო ზეიმი, გამარჯვებათა შედეგების გამოყვანა, რასაკვირველია. ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის იმ კონკრეტიული ზომების შესამუშავებლათ და ცხოვრებაში ურყევათ გასატარებლათ, რომლებსაც გვიკარნახებს საკმაოთ შეცნობილი და გათვალისწინებული საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების. ხოლო ეს მდგომარეობა დღესაც, ოქტომბრის რევოლუციის **ხუთი** წლის თავის უშუალო მოლოდინის მომენტში, ისევე, როგორც წარსულში, ამ მომენტამდე, ხასიათდება ერთი უმთავრესი ფაქტით, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია მთელი ჩვენი მომავალი სამოქმედო გეზის შესარჩევათ: ჩვენ კვლავ გარემოცული ვართ „ფაფარ აყრილი“, იარაღში ჩამჯდარ ბურჟუაზიული სამყაროთი.

პირველი დიდი **სამხედრო** კამპანია, როგორც ვთქვით, დასრულდა ჯერ ჯერობით, სოციალისტური რესპუბლიკების გამარჯვებით. ძლევამოსილმა გმირულმა წითელმა არმიამ მშრომელთა მილიონების აქტიური დახმარებითა და ფოლადისებური სიმტკიცით შედუღებული კომპარტიის ხელმძღვანელობით ცხვირ პირგასწორებული უკუ აქცია წინ წამოჭრილი შავი ლეგიონები ჩვენი მტრების და კვლავ თავთავიანთ ადგილას ჩააყენა ისინი. დამყარებულია ერთნაირი წონასწორობა, რომელიც, ემორჩილება რა თავისთავად თავის შინაური განვითარების და „ჩუმი“, „მოლეკულიარული“ მუშაობით განსაზღვრულ ცვლილებებს, შეიძლება დაირღვეს, ამა თუ იმ სექტორზე მტერმა გადმოტეხოს და „მოულოდნელათ“ კვლავ ხიშტი დააყენოს ისტორიულ დღის წესრიგში. ეს ერთი მხრით, ხოლო მეორეთი—არ სთვლემენ რევოლუციის ძალები, პოტენციალურათ დაგროვილნი და მიმავალნი განვითარებას, ზრდისა და შეტევისათვის მოსამზადებელი გზით. ისტორიული მუდო კვლავ ხრავს და კარგადაც ხრავს თავისი ბასრი კბილებით ბურჟუაზიული რეჟიმის ქვეშეთს. ეს რეჟიმი კვლავ ამაფეთქებელი ნივთიერებით არის გაჟღენთილი, და მისი ძალთა განვითარებაც შეუჩერებელი. ჩვენ სრული საბუთი გვაქვს, იმისდა მიხედვით რასაც ვამჩნევთ დღეს ცხოვრების ზედა პირზე ევროპაში, ვიყოთ ყოველ შესაძლებლობათა მოლოდინში.

რა ძალებით წავრსდგებით ჩვენ როგორც პირველი, ისე მეორე ხასიათის შესაძლებლობათა წინაშე—„საკითხავი აი რა არის“.

ჩვენ წინაშე კარგი ხანია დამდგარია სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოების ძლიერების, კვლავ ძლიერი მტრის წინაალმდეგ დასაპირისპირებელი და მისი გამნადგურებელი ძალის შექმნის საკითხი, „მახტფრაგე“, როგორც ამბობენ გერმანელები. სამხედრო ძლიერება და ძლიერება ეკონომიური—აი რა უნდა შევქმნათ ჩვენ, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული, განვავითაროთ ის მუშათა რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე, გამარჯვებამდე ყველგან.

უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში, არსებითად ეს საკითხი, ხოლო სხვადასხვა მასშტაბით და რაოდენობით, განუწყვეტლივ ყოფილა წამოჭრილი ჩვენს წინაშე. ის იდგა მაშინაც, როდესაც მიმდინარე, ყოვილდღიური, სამხედრო ბრძოლის საჭიროებანი გვაიძულებდა ბრძოლისვე პროცესში, თოფ-ზარბაზნის ჭექა-ქუხილში შეგვექმნა (რაც გამოსადეგი იყო ძველისაგან, დანარჩენი ახლისაგან) საჭირო ძალები. ომის ალში იჭედებოდა მაშინ ეს ძალები ჩვენ წინ მდებარე ცეცხლით მქშინავ ფრონტებზე. მაშინ დრო და გარემოება არ ითმენდა სისტემატიურათ დ დალაგებით გაგეგმილ მუშაობას, რომლითაც ხასიათდება შემდეგი, შედარებით მშვიდობიანი პერიოდი რესპუბლიკების არსებობის და ბრძოლის. სამხედრო ძლიერებაზე, როგორც აღმოცენებულზე ქვეყნის ეკონომიურ ძალთა თანამშრომლობის და მათი განმტკიცების ნიადაგზე, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. შესაძლებლობა არსებულ რესპუბლიკების ძალებისა და ენერგიის შეწყობის, შეთანხმებით სისტემატიური დამუშავების, შესაძლებლობა ამ რესპუბლიკების სისტემატიური ეკონომიურ-პოლიტიკური თანამშრომლობის, ამისთვის მათი გაერთიანების და ამ გაერთიანებისთვის სათანადო **ფორმების** გამონახვის—ყოველივე ეს უფრო გვიან უნდა შექმნილიყო და საამისო წინასწარი მუშაობა მხოლოთ შედარებით მშვიდობიან ხანაში წარმოებულიყო. და ეს ასეც მოხდა. არსებულ საბჭოთა რესპუბლიკების და მათ ადგილობრივ გაერთიანებათა თანამშრომლობა, მათ ძალთა და უმნიშვნელოვანეს ორგანოების გაერთიანება, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფინანსიურ დარგებში, ან შესრულებული ფაქტია დღეს ან მზადდება საბოლოოთ. იქმნება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომელიც „განამტკიცებს მათ სამხედრო ძლიერებას, შექმნის უდიდეს სამეურნეო ორგანიზმს, დაუპირდაპირებს გაერთიანებულ კაპიტალისტურ მსოფლიოს—მსოფლიოს სოციალისტურს თავისი წითელი არმიით, მოწყობილი მრეწველობით, რომელიც ფოლადისებური სიმტკიცით დაიცავს თავის მონაპოვარს“.

ლოიდ-ჯორჯის გადადგომის შემდეგ

მთელ მსოფლიო პრესაში დიდ სჯა-ბაას იწვევს ლოიდ-ჯორჯის გადადგომა. რამ დასცა ეს კაცი, რომელიც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დირიჟორობდა ევროპის პოლიტიკას, რა ცვლილებები და შედეგები შეიძლება მოყვეს ამ ფაქტს,—ამ საკითხების გარკვევა არ არის უსარგებლო მუშათა კლასისათვის.

ლოიდ-ჯორჯის დამხობის პირდაპირ და უშუალო მიზეზად გახდა მისი პოზიცია ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

ოსმალეთის მიმართ ყოფილი პრემიერი განაგრძობდა გლადსტონის პოლიტიკას—ოსმალების გაძევება ევროპიდან. თითქო კიდეც მიაღწია ამ მიზანს, როცა იმპერიალისტური ომის შემდეგ დაეუფლა სტამბოლსა და სრუტეებს და ბერძნებს დააკავშინა ოსმალეთის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი. მაგრამ არც ისე ადგილი გამოდგა ამ „მონაპოვარის“ განმტკიცება და ოსმალეთის ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება. „ავადმყოფი ადამიანი“, რომელსაც ბევრჯელ სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს ევროპის პოლიტიკოსებმა, აღმოჩნდა მეტი სიცოცხლის უნარის და პოტენციონალურ ენერგიის მატარებელი, ვინემ მათ ეგონათ. ნაციონალურ-რევოლუციონურმა ოსმალეთმა მოიკრიბა ძალა და თავის იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით ყველას თვალსაჩინოდ დაუმტკიცა, რომ ის თავის სასიცოცხლო უფლებებს არ დასთმობს და კიდეც შეუძლია ბრძოლა მათ აღსადგენად და დასაცავად.

და აქ პირისპირ წამოიჭრა საკითხი ინგლის-ოსმალეთის ომის შესახებ. ლოიდ ჯორჯმა მორთო იარაღის ჟღარუნი და ომისათვის იწყო მზადება.

ინგლისის მდგომარეობა კიდევ უფრო იმით რთულდებოდა, რომ მის წინაალმდეგ ამ შემთხვევაში იდგა არა მარტო ოსმალეთი, არამედ ინგლისის „მოკავშირე“ საფრანგეთიც. ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის მთავარი აზრი იყო ინგლისის იმპერიალიზმის გაუზიარებელი და განუსაზღვრელი ჰეგემონია ახლო აღმოსავლეთში. და აქ ის შეეჯახა საფრანგეთის ინტერესებს, საფრანგეთის, რომელიც აგრეთვე მოითხოვს „თავის წილს“ აღმოსავლეთის ხალხების და სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში. არც იტალია იყო კმაყოფილი ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკით, ვინაიდან სრუტეების „თავისუფლება“, რასაც მოითხოვს ინგლისი და რაც ფაქტიურად მის სრულ ბატონობას ნიშნავს, ჩაკლავდა იტალიის ისედაც სუსტ საგარეო ვაჭრობას.

ამგვარად ნიადაგი შეუმზადდა ინგლისის იზოლიაციას ახლო აღმოსავლეთში. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი ინგლისის იმპერიალიზმისათვის, ვინაიდან თუ ლოიდ ჯორჯი შეურიგებელ პოლიტიკას გააგრძელებდა ოსმალეთის და „მოკავშირეთა“ წინაალმდეგ, ამას აუცილებლად მოყვებოდა ომი, რომელსაც, შესაძლებელია, თან გადაყვებოდა ინგლისის იმპერიალიზმი. ინგლისის გაბატონებულ ჯგუფებს კი, რომელნიც თავიანთი ბუნებით მატარებელნი არიან ომის, სისხლის ღვრის, არაფრის არ ეშინიათ ისე, როგორც ამ ომის. ისინი კარგად გრძნობენ, რომ ეხლა დაწყებული ომი მათ სამარეს გაუთხრის. მათ ამოცანას შეადგენს „მშვიდობიანობის“ შენარჩუნება „მოკავშირეებთან“ კომპრომისების გზით. ამ მხრივ საგულისხმოა ახალი პრემიერის ბონარ ლოუს განცხადება, რომ ის დაიცავს შემდეგ პრინციპებს: 1) ნაკლები ავანტიურა; 2) მტკიცე მთავრობა და 3) უფრო მჭიდრო და საერთო მუშაობა მოკავშირეებთან.

ახალი მთავრობა შეეცდება მოკავშირეებთან და პირველ ყოვლისა საფრანგეთთან შეთანხმებას „გავლენის სფეროთა“ საკითხში. ამ „გავლენის“ ობიექტი ისევ უნდა იყოს, მათი აზრით, ოსმალეთი და სხვა ჩაგრული ხალხები. ოსმალეთის განდევნა ევროპიდან ვერ მოხერხდება, მაგრამ „მოკავშირენი“ საერთო ძალ-ღონით შეეცდებიან ეკონომიურ და პოლიტიკურ ჰეგემონიის შენარჩუნებას მაზე.

ინგლისში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებას მიზნად აქვს შეთანხმება არა მარტო აღმოსავლეთის საკითხში და ამის გამო ომის აცილება. ინგლისსა და საფრანგეთ შორის ერთ მთავარ სადავო საკითხად იყო გადაქცეული ვერსალის ზავი და რეპარაციები. ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა ვერსალის გადასინჯვას, არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მას გული შესტკიოდა გერმანიის ხალხზე, არამედ იმიტომ, რომ ის გამოდიოდა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ინტერესებიდან, რათა ერთი მხრივ საშუალება არ მიეცა საფრანგეთისათვის, რომ ის გაძლიერებულიყო, მეორე მხრივ, გერმანიის მდგომარეობის შემსუბუქებით ისევ მოეპოვებინა ინგლისის ინდუსტრიის კარგი გამსაღებელი. აქაც მოსალოდნელია ურთიერთი დათმობა. ტყუილად კი არ მიაჩნია საფრანგეთის რეაქციონურ პრესას ლოიდ ჯორჯის დაცემა პუანკარეს გამარჯვებად. ბონარ-ლოუ ითვლება საფრანგეთის მეგობრად. ამნაირად მოსალოდნელია, რომ საფრანგეთი უფრო წაუჭერს თოკს გერმანიას, და ამაში არ წააწყდება ინგლისის წინააღმდეგობას, მისცემს რა ამ უკანასკნელს კომპენსაციას ახლო აღმოსავლეთში.

საერთოდ ცხადია, რომ ინგლის-საფრანგეთის ბლოკი ესაა ნიშანი საერთაშორისო მასშტაბით რეაქციის უფრო გაძლიერების.

რა მოვლენა შეიძლება მოახდინოს ლოიდ-ჯორჯის გადადგომამ ინგლისის შინაურ მდგომარეობაზე? ამ ფაქტით თითქო დაირღვა ომის დროიდან არსებული კავშირი კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის.

მომავალ ნოემბერში დანიშნულია პარლამენტის არჩევნები. ჯერ ჯერობით ძნელია ამ არჩევნების შედეგების გათვალისწინება. არის ცნობები, რომ კონსერვატორების დ ლიბერალების პარტიები აპირებენ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე გამოსვლას არჩევნების დროს. ვერ ვიტყვით, გამართლდება თუ არა ეს ცნობები. თუ ისინი მართლა გამოვლენ ცალ-ცალკე, მუშათა პარტიას საკმაო შანსები აქვს გამარჯვებისათვის. გვგონია, ეს გარემოება შეაფიქრიანებს გაბატონებულ ჯგუფებს და ისინი შეეცდებიან საერთო ძალ-ღონით დაუპირდაპირდნენ მუშათა კლასს. როგორც ვიცით ინგლისში ისეთი აზრიც დაიბადა, რომ საჭიროდ მიაჩნიათ კოალიციის პარტიების ერთ „ნაციონალურ“ პარტიაში გაერთიანება. ცხადია, ამ გაერთიანების მთავარი მიზანი იქნება ბრძოლა ერთიანი ფრონტით პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ.

ინგლისის მუშათა კლასმა ეს არ უნდა დაივიწყოს. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშათა კლასს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერია თავისი რიცხვობრივი შემადგენლობით და ორგანიზაციით, დღემდე თავი ვერ დაუღწევია თავის ქვეყნის ბურჟუაზიის იდეოლოგიურ ტყვეობიდან. ის პარლამენტარიზმის დ ფორმალური დემოკრატიის იდეებითა შებორკილი და მოხიბლული. რამდენადაც ის განთავისუფლდება ამ ტყვეობიდან და წმინდა კლასობრივ პოზიციაზე დადგება, მით მალე გამოეთხრება საფუძველი ინგლისის ბურჟუაზიის ბატონობას. კონსერვატორების გამარჯვებამ, რეაქციის გაძლიერებამ, უმუშევრობამ, საერთო ეკონომიურმა კრიზისმა ხელი უნდა შეუწყოს ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივ თვითგამორკვევას. ინგლისის მუშათა კლასს საკმაო ობიექტიური შესაძლებლობა აქვს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. საჭიროა მისი რევოლუციონური სულისკვეთების და შემეცნების გაძლიერება, საჭიროა ამ ობიექტიურ მდგომარეობის გამოყენება. ცხოვრების მთელი მსვლელობა აქეთკენ მიაქანებს მუშათა კლასს, და შორს არ არის ის დრო, როცა ეს „გოლიათი“ დაამსხვრევს იმ ბორკილებს, რომელსაც ის ატარებს, და თვითონ გახდება თავის სრული ბატონ-პატრონი.

წყალდიდობა საქართველოში

დასავლეთ საქართველოში სექტემბერში მომხდარი წყალდიდობით მიყენებული ზარალი კიდევ არ იყო დაფარული, გაფუჭებული და დაზიანებული ხიდები და გზები კიდევ არ იყო სავსებით აღდგენილი, რომ კვლავ უფრო მეტი ძალით და სივრცით განმეორდა სტიქიური უბედურება—წყალდიდობა, რომელიც ეხლა ერთდა იმავე დროს მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. დაწვრილებითი ცნობები წყალდიდობის სიდიდეზე, სივრცეზე და მის მიერ გამოწვეულ ზარალზე, მსხვერპლზე და სხვ. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ ის რაც ჩვენ უკვე ვიცით, საკმაო სურათს იძლევა წყალდიდობის კოლოსალურ ხასიათის შესახებ. საქართველოს ყოველ კუთხიდან მოვიდა ცნობები წყალდიდობის და მისგან გამოწვეული ზარალის შესახებ. ქუთაისიდან, შორაპნიდან, ბორჯომიდან, გორიდან, თითქმის ერთ და იმავე დროს მოვიდა ცნობები: გზებისა და ხიდები დაზიანებულია. მრავალი ქუჩები წყლის გუბეთ არიან გადაქცეული, შენობები წყალში სცურავენ, დამფრთხალი მცხოვრებლები სტოვებენ ბინებს და გარბიან. არა ნაკლებ შემაძრწუნებელი სურათი დატრიალდა თბილისში მტკვრის პირათ მდებარე ქუჩებში. რკინის გზის მთავარი ლიანდაგი ბევრგან არის დაზიანებული, რის გამოც წესიერი მიმოსვლა მატარებლებისა ვეღარ სწარმოებს. ერთი სიტყვით ბუნების სტიქიამ თითქმის მთელი თავისი სიძლიერე გვიჩვენა და რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას დიდი ზიანი მიაყენა. ეს ფაქტი საკმაოთ დიდ გავლენას მოახდენს ქვეყნის მეურნეობაზე და რამოდენიმეთ მაინც გააქარწყლებს წრევანდელი წლის დამაკმაყოფილებელ მოსავალის შედეგებს. სახელმწიფოს დიდი ენერგიის, ძალის და ფინანსების დახარჯვა დასჭირდება, რომ წყალდიდობის მიერ გამოწვეული ზარალი დაფაროს, დანგრეული ხიდები, გზები და შენობები აღადგინოს.

მაგრამ არ კმარა მარტო დროებითი ხასიათის ზომები, საბოლოვოთ ის საქმეს ვერ უშველის, უბედურებისაგან სამუდამოთ ვერ გვიხსნის. წყალდიდობა საქართველოში უკანასკნელ წლებში მეტათ გახშირდა, თითქმის სისტემატიური ხასიათი მიიღო. მის წინაალმდეგ ბრძოლასაც მუდმივი, სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. წყალდიდობისაგან თავის დასაცავათ საჭიროა მდინარეების კალაპოტის გაღრმავება და ნაპირების გამაგრება. ასეთი ხასიათის მუშაობა კიდეც სწარმოებდა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში, როგორც მაგალითად მდ. ცხენისწყალზე და რიონზე. ეს მუშაობა კიდევ უფრო მეტი ენერგიით უნდა იქნეს განახლებული და დაწყებული სადაც არ სწარმოებდა, სადაც ის აუცილებელი და საჭიროა.

მაგრამ ესეც არ კმარა. წყალდიდობის გამომწვევ მიზეზთა შორის არა მცირე როლს თამაშობს საქართველოს ტყეების გაჩეხა, ყოველ შემთხვევაში წყალდიდობის სიდიდეზე ამ ფაქტს საკმაო გავლენა აქვს. ტყეები საქართველოში საოცარი სისწრაფით ისპობა, ნადგურდება. ამას ყველა აღნიშნავს ყველა ლაპარაკობს, ისევე როგორც ტყის დაცვის აუცილებლობაზე. მაგრამ სამწუხაროდ ტყის არარაციონალური, უგეგმო გაჩეხა ისევ გრძელდება და კიდეც რომ არ გრძელდებოდეს, ის რაც უკვე გაჩეხილია საკმაო დიდი ზიანის მოტანას უქადის ჩვენს ქვეყანას. მთიან ადგილებში, როგორც რაჭა და ზემო იმერეთია ტყე ისეთ ადგილებშიც იჩეხება, რომლებიც მხოლოდ ტყისთვის არის სავარგისი. უმოწყალო გლეხობა მთის კალთებზე, ფერდობებზე სჩეხავს ტყეს, საყანებათ აქცევს ორიოდე წლით და შემდეგისთვის კი ეს ადგილები სამუდამოთ დაკარგულია. იქ აწ არც ყანა იხეირებს, აღარც ტყე, აღარც ბალახი; ამწვანებულ აბიბინებულ ტყის ნაცვლათ წყლისაგან დახვეტილი სალი კლდე გვრჩება. მეცნიერებაში უდავო ფაქტათ არის აღიარებული, რომ ტყეს უდიდესი გავლენა აქვს კლიმატიურ პირობებზე, ჰავაზე. ტყის მოსპობით და დედამიწის რელიეფის შეცვლით ჰავაც იცვლება. შორს რომ არ წავიდეთ ტფილისის მიდამოებიც ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს. ტფილისის მიდამოები ერთ დროს ტყით იყო დაფარული, ამწვანებული; ამას ამტკიცებენ როგორც ბოტანიკური, ისე ისტორიული გამოკვლევები, ჰავაც მაშინ უკეთესი იყო, ადამიანისთვის უფრო მარგებელი. დღეს კი ტფილისის ახლო მდებარე მთაგორები გატიტვლებულ გაშიშვლებული სალი კლდით არის ქცეული, რომელიც ზაფხულის დღეებში საოცარ სიცხეებს, პაპანაქებას აყენებს ქალაქში. ჩვენი ქვეყნის მთაგორიან ადგილებშიც ეს სურათი, ამწვანებულ-აყვავებულ მთა-გორაკების გაშიშვლებულ კლდეებათ გადაქცევა ჩვენ თვალწინ ხდება, ჩვენის მონაწილეობით იქნება. გადახედეთ რაჭას, ლეჩხუმს, ზემო იმერეთს და თქვენ ეჭვი არ შეგეპარებათ ზევით ნათქვამის სინამდვილეში.

ამ გიტიტვლებულ ფერდობზე რასაკვირველია ნიაღვარი თავს ვერ იკავებს და საოცარი სისწრაფით მიექანება ქვევით, დაბლობისკენ, თან მიერეკება ყოველივეს, რაც კი წინ დახვდება. სხვადასხვა ფერდობებიდან ჩამოვარდნილი ნიაღვარი ხეობაში საოცარ გიჟურ მდინარეთ იქცევა, რომელიც კალაპოტიდან ამოდის და გზაზე რაც კი შეხვდება ანადგურებს, აზიანებს და ზღვისაკენ მიაქანებს. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა ტყის დაცვა, მოვლა მოშენება და არა მისი განადგურება.

სამწუხაროთ არა თუ მივარდნილ მთის ხეობებში ხდება ტყის გაჩეხა, ხშირათ რკინის გზის მთავარ ლიანდაგის პირათ მდებარე ადგილებში იჩეხება ტყე, რაც კიდევ უფრო მეტათ დაუშვებელია.

ვიმეორებთ: ტყეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის ჯანმრთელობის და მეურნეობისათვის და მის დასაცავათ უფრო ენერგიული ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ წყალდიდობა მუდმივ მოვლენათ არ გადიქცეს, ქვეყანა მუდმივ საფრთხის წინაშე არ იდგეს. კმარა ისიც, რაც გაფუჭებულია; შემდეგში მაინც ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტყის დაცვას. უამისოთ შეუძლებელია სტიქიასთან, წყალდიდობასთან ბრძოლა.

Homo.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესია

კოდექსები.

მოსკოვი 27 ოქტომბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესიის სხდომაზე მოხსენებით საბჭოთა სასამართლოს პროექტის შესახებ გამოვიდა კრილენკო. პროექტის თანახმად იქმნება სასამართლოს დაწესებულებათა მთლიანი სისტემა. ძირითად იაჩეიკას წარმოადგენს სახალხო სასამართლო, რომელიც ემორჩილება მეორე ინსტანციას—საგუბერნიო სასამართლოს. უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც აერთებს ეხლანდელ უმაღლეს ტრიბუნალს მისივე კოლეგიებით, საკასაციო კოლეგიას და უმაღლეს სასამართლო კონტროლს. საინსპექტორო, სტატისტიკური და საორგანიზაციო ნაწილები გადადიან იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

პროექტი მიღებულია საფუძვლად და გადაეცა კომისიას დასამუშავებლად.

მიწის კანონი

მიწის კანომების კოდექსის შესახებ მესიაცევმა მოხსენებაში აღნიშნა სხვათა შორის შემდეგი: მიწის კოდექს შესდგება სამი ნაწილიდან: პირველი ნაწილი-შრომით მიწის სარგებლობაზე, მეორე ნაწილი—ქალაქის მიწების შესახებ, მესამე ნაწილი—მიწადმოწყობის, გადასახლების და მიწის გარშემო ატეხილი დავის შესახებ.

პირველი ნაწილის საფუძვლეია კანონი შრომის მიხედვით მიწით სარგებლობის შესახებ, რომელიც დაამტკიცა გასულმა სესიამ. ეს ნაწილი შევსებულია მუხლებით, რომლებშიაც აღიარებულია წესი ოჯახის შორის დაყოფისა და ზომებით ადგილების დაქუცმაცების წინააღმდეგ. შეტანილია თავი საადგილ მამულო თემების შესახებ, რომლის ძირითადი აზრია—რუსეთის მთელი მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს. საადგილ-მამულო თემები და ცალკე ოჯახები მხოლოდ სარგებლობენ კანონით გადაცემულ სახელმწიფო მიწებით. ისინი ღებულობენ მუდმივ და მტკიცე უფლებებს სარგებლობისა, რისთვისაც სახელმწიფო მოითხოვს მათგან გარკვეულ ბეგარის შესრულებას და პირველ რიგში კი მიწის სალ დამუშავებას.

საადგილ-მამულო თემები იყოფა ორ ნაწილად: პირველი—ძველი თემი, მეორე—საზოგადოება ახალი წესდებით, რომელიც წააგავს საადგილ მამულო კოოპერატივებს. აღიარებულია წესი ჩამორჩენილ საადგილ-მამულო საზოგადოებების უფრო სრულ ფორმებში გადასვლისა. საზოგადოებები არსდებიან ნებაყოფლობით. ცალკე ოჯახები და საადგილ-მამულო საზოგადოებები სავსებით ატარებენ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე მიწის რაციონალურ სარგებლობაში.

საგუბერნიო აღმასკომებს უფლება ეძლევათ დააწესონ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების საშუალებით საგუბერნიო ნორმების დაყოფისათვის, რომლის ქვემოდ შეუძლებელია ყოველგვარი დაყოფა ოჯახების მიხედვით. ეს ნორმები სავალდებულოა ხუტორებისათვის. თვით მიწის დამმუშავებელს თავის ნებით შეუძლია გამოაცხადოს თავისი მეურნეობა დაუყოფელად.

გადაყოფის უფლება ეძლევა საზოგადოების უბრალო უმრავლესობას, და არა ორ მესამედს, როგორც ეს იყო ძველ კანონში.

მის დანიშნულებისა და ქალაქების და მუშების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი მიწა გადადის სახელმწიფოს უშუალო სარგებლობაში ამას ეკუთვნის ის ადგილები, რომლებიც გაცემულია იჯარით და თავისუფალი მიწის მარაგი გადასახლებისა და კონცესიებისათვის.

კოდექსი აღიარებს უმარტივეს მიწად-მოწყობის—სახელდობრ ფაქტიურ მიწის სარგებლობის რაოდენობის განმტკიცებას მიწების რეგისტრაციის გზით.

მიწის გარშემო ატეხილ დავის განხილვას აწარმოებენ საადგილ-მამულო კომისიები.

დასასრულ მესიაცევმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გატარებულია მიწად-მოწყობის სამუშაო 31 მილ. დესიატინას რაოდენობით—სამჯერ მეტი ვინემ წასულ წელს.

— საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო კანონების კოდექსის პროექტის შესახებ გოიხბარგმა, სხვათა შორის აღნიშნა, რომ ეს კოდექსი აღიარებს საკუთრების უფლებას, რომელიც არ არის არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. საკუთრება, კოდექსის მიხედვით, შესაძლებელია სამგვარი—სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო. ყველა მსხვილი მრეწველობის დარგები, რკინის გზები და სხვები წარმოადგენენ სახელმწიფოს უშუალო საკუთრებას.

ამ სახელმწიფო საკუთრების მიმართ არ არსებობს არავითარი შეზღუდვა. კოოპერატიული საკუთრება უკვე ეწყობა გარკვეულ ჩარჩოებში და ისაზღვრება.

კერძო საკუთრება დაშვებულია მხოლოდ ცალკე კანონების ფარგლებში. მთელი ჩვენი მსხვილი მრეწველობა გასახელმწიფოებრივებულ მაგრამ გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. სახელმწიფო საერთოდ არ არის პასუხისმგებელი ცალკე ტრესტების, გაერთიანებების და წარმოებების მოქმედებებში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

დამოკიდებულება იაპონიასთან.

მოსკოვი. 27 ოქტ. გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ჩვენი გულწრფელი სურვილია იაპონიასთან მივაღწიოთ ფორმალურ შეთანხმებას. მაგრამ იაპონიის იმპერიალისტების მადა იმდენად დიდია, რომ შეთანხმება ახლა შეუძლებელია. იაპონიას სურს შეინარჩუნოს და ფაქტიური ანექსია უყოს სახალინის ჩრდილოეთ ნაწილს, რაც გააბატონებს იაპონიას ამურის ნაოსნობაზე. ამაზე ჩვენ ვერ დავთანხმდებით.

ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბებმა,—იაპონიის მომხრე ჯან-ლინის დამარცხებამ—გაართულა იაპონიის დამოკიდებულება ჩინეთთან. იაპონია აძლიერებს თავის გარნიზონს მანჯურიაში და თავს უყრის თეთრ-გვარდიელებს. იაპონელების მიერ სანაპიროების დატოვება არის ერთი ნაბიჯი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობით აღსადგენად. ვლადივოსტოკიდან იაპონელების ევაკუაციამ უარყოფითი ხასიათი მიიღო. ვლადივოსტოკი ფაქტიურად „ხულიგნების“ და მოყაჩაღო ელემენტების ხელთ იმყოფება. ნაცარცვი ქონება გააქვთ მანჯურიაში. როდესაც რუსეთის ჯარები შევლენ ვლადივოსტოკში, ჩვენ ხელთ იქნება სრული ცნობები იმ განადგურების და ცარცვა-გლეჯის შესახებ, რომელთაც ახლა ადგილი აქვს ვლადივოსტოკში.

მეგობრული განწყობილება რუსეთსა და ჩინეთს შორის ვითარდება. პეკინში რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენლის ამხ. იოფის ჩასვლის შემდეგ ჩინეთის შეთანხმების პროექტის შემუშავება და მეგობრულ დამოკიდებულებათა აღდგენის საკითხში წინ მიიწევს.

ირლანდიის კომპარტიის მისალმება.

მოსკოვი, 27 ოქტ. რ. კ. პ. ც. კ. ამხ. ლენინმა და ზინოვიევმა მიიღეს მისალმება ესტლანდიის კომპარტიის მესამე არალეგალურ კონგრესისაგან. ესტონიის კომუნისტები აცხადებენ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან მომენტს, როდესაც მათ ექნებათ შეძლება ისე როგორც რ. კ. პ—ს, სამაგიერო მიუზღონ თავის დამჩაგვრელებს და გაუწოდებენ ხელს რუს ძმებს მშვიდობიან თანამშრომლობისათვის.

ფასი შაქარზე.

მოსკოვი. 27 ოქტ. შაქარის გაძვირების წინააღმდეგ საბრძოლველად, ცენტროკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას შაქრის ტრესტთან კოოპერაციისათვის 5 მილიონი ფუთი შაქრის მიცემის შესახებ მცხოვრებლთათვის დასარიგებლად.

სომხეთი

სოციალური უზრუნველყოფა.

ერევანი. 26 ოქტ. სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებათა გამგეების 21 ოქტომბერს გამართულ თათბირზე გამოტანილია მთელი რიგი დადგენილებისა: მოეწყოს ალექსანდროპოლის შრომის ბირჟასთან რკინის გზელთა განსაკუთრებული სექცია უმუშევართა რეგისტრაციაში გასატარებლად. სექციის ხარჯთაღრიცხვა წარედგინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წითელი წიგნი"

ორშაბათს ა. წ. 30 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე შესდგება „წითელი წიგნი"-ს საგამომცემლო სააქციონერო საზოგადოების დამაარსებელთა კრება

დღიური წესრიგი: 1) წესდების დამტკიცება, 2) დროებითი გამგეობის არჩევნები და 3) მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა თავის დროზე გამოცხადება.

კრება გაიმართება „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის შენობაში.

(2—1)

გამომცემელთა საყურადღებოთ

გაზეთ--ტრესტის მთავარი

კანტორა

ამით აცხადებს, რომ რკინის გზის ხაზზე კიოსკებისათვის საჭიროა შკოლების სახელმძღვანელოები, რასაც ვღებულობთ საკომისიოთ და ყოველივე ანგარიში აუცილებლად გასწორებულ იქნება შეძლებისაგვარად.

(3—2)

დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატს, მოეწყოს ადგილებზე შრომ. საერთო დახმარების კომიტეტი: დაკმაყოფილებულ იქნას წითელ არმიელების ოჯახები; ინვალიდთა რიცხვი შემცირდეს 300 კაცამდე, აქედან ერევანში—70 ალექსანდროპოლში—15, ნოვობაიაზეთში—15, შეკეთებულ იქნას ალექსანდროპოლში და ეჩმიაძინში ინვალიდთა სახლები და დაურიგდეს ინვალიდებს ტანსაცმელი.

საბჭოთა საქართველოში

ბათომი

ბათუმის ნავთსადგურში. ამ დღეებში მოელიან გემ „კიპრიას" ჩამოსვლას რომელმაც უნდა ჩამოიტანოს „არკოსისათვის" მანქანები გროზნოს ნავთისათვის და 152000 ცეცხლისმძლე აგური აზნავთისათვის. გარდა ამისა 50.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. „არკოსმა" გაგზავნა ინგლისში ხელშეკრულების ანგარიშში 3.389.184 ფ. ნავთის პროდუქტები.

აფხაზეთი

გზატკეცილების შეკეთება. მისვლის მთავარი სამმართველო შეუდგა გზატკეცილების შეკეთებას. განზრახულია შეაკეთონ 26 ხიდი, მათ შორის უმეტესობა დიდი ხიდებია მდინარე გულუშზე, ცხენის წყალზე, ბზიკვზე და სხვები. ჯერ ჯერობით სწარმოებს ხე-ტყის დამზადება შეკეთებისათვის.

განათლების სახალხო კომისარიატში. მიმდინარე სამოსწავლო სეზონის დროს აფხაზეთის ყველა სკოლებში ეჩნეოდა სახელმძღვანელოების დიდი სიმცირე. ამ დღეებში განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღო წიგნების და სახელმძღვანელოების მნიშვნელოვანი პარტია, რაც ძლიერ კარგს გავლენას იქონიებს სკოლის საქმეების სათანადოდ დაყენებაზე.

ტუბერკულიოზის სამდღეული. აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ფიქრობს გაატაროს მთელს რესპუბლიკაში ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო სამდღეული. განზრახულია მოეწყოს კრებები, ლექციები, ფულის მოგროვება და სხვა.

კოოპერაცია. სოფ. ძალში შესდგა სამურზაყანოს მაზრის კოოპერატივების გამგეობა, რომლის მიზანია მაზრაში კოოპერატიული მოღვაწეობის ქსელის გაერთიანება.

უმუშევართა ზრდა. სოხუმის შრომის ბირჟაზე აღნიშნულია უმუშევრობის ზრდა აგვისტოში თითქმის ორჯერ მეტად, ვინემ ივლისში. სექტემბერში გატარებულია რეგისტრაციაში 808 კაცი, აგვისტოში 456.

ბირჟა. სოხუმში არსდება ბირჟა თბილისის ბირჟის მზგავსად.

აფხაზეთის კავშირში. აფხაზეთის კავშირმა მიიღო რუსეთიდან მანუფაქტურა (3,000 არშინამდე) და სხვა და სხვა საქონელი სულ 1 მილიარდი მანეთის.

წყალდიდობა საქართველოში

თბილისი

თბილისში წყალმა იწყო დაკლება ღამის 1 საათიდან და 26 ოქტომბრის 12 საათამდე დაიწია თითქმის 2 არშინით და ჯერ ჯერობით ამ სიმაღლეზე სდგას. ყველა სარდაფები რიყეზე და დესიმანოვის მოედანზე დაფარულია წყალით. 19 თებერვლის ქუჩა და მისი შესახვევები განთავისუფლდენ წყლისაგან. ტრამვაის ვაგონებს 19 თებერვლის ქუჩაზე გუშინაც არ უვლია.

ორთაჭალის ბაღების 65 პროც. დაფარულია წყლით.

წყალსადენზე

წყალდიდობას არავითარი ზიანი არ მიუყენებია წყალსადენისათვის, მაგრამ წყლის დიდი ზედდაწოლის გამო წყლის ტურბინები გაჩერდენ. საშუალო 23 ღარი დაფარული იყო წყლით. წყალდიდობის დასაწყისში შეკრებილი იყვენ წყალსადენთან ყველა მუშები და აგრეთვე ავჭალის მცხოვრებნი წყალდიდობის წინააღმდეგ საბრძოლველად

ავჭალასთან წყალი მტკვარში 4 არშინზე ამაღლდა და ამის გამო ორივე წყლის ტურბინა გაჩერდა ამიტომ იყო, რომ ქალაქისათვის წყლის მიწოდება 1.300.000 ვედროდან 1.100.000 ვედრომდე შემცირდა. ყველა საშუალო ღარები დაფარული იყო წყლით. ამას წინად აშენებული დამბები უწევდა წინააღმდეგობას წყალდიდობას, რის გამოც თუმცა ეს არე მარე დაფარული იყო წყლით, მაგრამ დანგრევას ადგილი არ ჰქონია. ერთ ადგილას, ის იყო წყალს უნდა გაეგლიჯა დამბა, მაგრამ თავის დროზე იქნა შენიშნული ეს და ენერგიული ზომებით დამბა გადარჩენილ იქნა.

გორში და ბორჯომში

წყალდიდობა მოდის მდ. ლიახვის და ბორჯომის მხრიდან, უმთავრესად კი ბორჯომის მხრიდან, გორში ადიდებულმა მტკვარმა დაფარა ქალაქის ბაღი და მთავარი ქუჩა (ყო. მეფის ქუჩა). ადიდებულმა ლიახვმა მხოლოდ 25 ოქტომბერს 4 ნახ. საათზე იწყო დაკლება. არის ადამიანის მსხვერპლიც.

ხიდი 123 ვერსზე

25 ოქტომბერს კომისიამ ადგილობრივ ტეხნიკოსებთან ერთად დაათვალიერა ხიდი 123 ვერსზე. ხიდის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია წყალის 2,75 საჟენით აწევის გამო. ჯერ ჯერობით ხიდის შეკეთების დაწყება შეუძლებელია. კომისიის თათბირზე გადასწყდა აღდგენილ იქნეს ხიდის დროებითი ხის საყრდნობი, ხოლო დაუყონებლივ დაწყებულ იქნეს მუდმივ საყრდნობის აშენება. ხიდზე მოძრაობის აღდგენა განზრახულია 29—30 ოქტომბრიდან, თუ წყალი დაიკლებს და ხელახლა არ ადიდდება.

ჭიათურის შტო.

ჭიათურის შტო როგორც ჩანს ძალიან დანგრეულია, მაგრამ ზარალის გამორკვევა შეუძლებელია წყალის დაკლებამდე, ვინაიდან 13 ვერსის იქით, მიმოსვლა და სატელეგრაფო კავშირი შეწყვეტილია. ჭიათურის ხაზის დათვალიერება გადადებულია 123 ვერსის ხიდის აღდგენამდე.

რიონი—მუხიანი.

მთავარ ხაზზე საშიში მდგომარეობა, რიონ-მუხიანის შორის 89 ვერსზე გზა ჩარეცხილია და მიმოსვლა შეწყვეტილია. 25 ოქტომბერს მუშა მატარებელმა მიიტანა 14 ვაგონი ქვა და მუშაობა დღე და ღამე სწარმოებს. მიმოსვლის აღდგენა განზრახულია 26 ოქტომბერს. 90 ვერსზე ხიდის მდგომარეობა სერიოზულია. ხიდის გამაგრება სწარმოებს. ბათომიდან საჯავახომდე ყველაფერი რიგზეა. საჯავახო სამტრედიას შორის 150 საჟენის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი ჩარეცხილია. სამტრედიიდან რიონის ხიდამდე ყველაფერი რიგზეა. სად. სამტრედიაში დაფარულია წყალით სახელოსნოები, აღარ მუშაობს ელექტრონის სადგური.

ფოთის ხაზი.

ფოთის ხაზის 51 ვერსზე ხიდთან წყალი მატულობს და ამის გამო მიმოსვლა შეწყვეტილია 26 ოქტომბერს სამტრედიიდან გაემგზავრა ლიანდაგის სამსახურის უბნის უფროსი საცდელი ორთქლმავალით.

ხეთას ხაზი.

ხეთას ხაზზე ხოფის ხიდი ცოტაოდნად დაზიანდა.

ტყვიბულის შტო.

ტყვიბულის შტოზე 51 ვერსზე ჩარეცხილია გზა. 50 ვერსზე ჩანგრეულია ხიდის ხის საყრდნობი, მეორე ხიდიც იმავე ვერსზე საგრძნობლად დაზიანდა.

იშვიათი სიმხეცე

ჩვენში ადგილი აქვს ხანგამოშვებით არაჩვეულებრივ, უმხეცესო ეპიზოდებს ადამიანის სიველურისას.

რამდენათ მძლავრი იყო მუშათა კლასის გამოფხიზლება, იმდენათ მკაცრი იყო კონტრ რევოლიუციის შეტევა რევოლიუციის წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლა დიდი მაშტაბით ორი მოწინააღმდეგე ბანაკისა რევოლიუციის ხანაში არის ბუნებრივი მოვლენა და ჩვენ ჭეშმარიტათ აღარ გვაკვირვს ის ტანჯვა, რაც დიდი რუსეთის რევოლიუციის განვითარების პროცესში მრავალ ტანჯულმა მუშათა კლასმა და უღარიბესმა გლეხობამ განიცადა იმ დიდი მსხვერპლის გაღებით, რომელსაც ის სრული და საბოლოვო გამარჯვებისათვის სწირავდა.

სულ სხვაა და ყოველი ცოცხალი კაცის გულის სიღრმემდე ამაშფოთებელია ის დიდი ბოროტება და ველურობა, რაც გასული წლის 21 დეკემბრის რიცხვებში მოხდა სოფელ ჯულაანში, სიღნაღის მაზრაში. ცხრა ბანდიტის შემადგენლობით ოთხი ადგილობრივი ქართველების აქტიური მეთაურობით, რომლებიც უმთავრესი ხელმძღვანელები იყვნენ და ხუთი წითელ არმიელის (წითელ წყაროს პოსტის არმიელები) დახმარებით, დაეცნენ ღამე ერთ გლეხს, მიხო ელაშვილს, (რომელმაც გაყიდა 66 ლორი 60 მილიონ მანეთად) შეიარაღებულნი თოფებით, ხმლებით, და რევოლვერებით, მრავალ ძვირფას ნივთების, ტანისამოსები, 5 ვერცხლის ქამრების, 5 ვერცხლის ხანჯლების, ოქროს ოცდაათი ბეჭდების, ოქროს ოთხი საათის და ორი ვერცხლისა, სამოცი არშინი ჩითების, ოცდაათი მილიონი მანეთის და მრავალი სხვა ქონების გატაცების შემდეგ, სიცოცხლეს გამოასალმეს ხუთმეტი ქალი და კაცი, პატარა ძუძუ მწოვარი ბავშვები, არ დაინდეს არავინ, სულ ერთბაშათ აჰკუწეს მთელი ოჯახის შემადგენლობა. სრულიათ შემთხვევით გადარჩა ამ ოჯახის ოთხი მამაკაცები, რომლებიც ამ დროს სამუშევარში იმყოფებოდენ. გასულ წელს იყო პრესაში აღნიშნული ეს სიმხეცე, მაგრამ იქ არ იყო გაშუქებული ნათლად მთელი ეს საზიზღრობა. ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილების თანახმათ, რომ დაკმაყოფილებულიყო სამართლიანათ აღელვებული ხალხის სინიდისი, უნდა გასამართლებულიყვნენ ამ საქმის თაობაზე დატუსაღებულნი ცხრა კაცი, ადგილობრივ ქალაქ სიღნაღში. ოქტომბრის 12-ში შესდგა შერეული სასამართლო კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარის ამხ. კუზნირიუკის, ამავე ტრიბუნალის კოლეგიის წევრის ამხ. ჩერენკევის და სრულიად საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის კოლეგიის წევრის ამხ. დ. ნასარიძის შემადგენლობით. სესია გაემგზავრა ქალაქ სიღნაღში, სადაც დაიწყო პროცესი 15 ოქტომბერს და გაგრძელდა ოთხი დღე. მეოთხე დღეს ე. ი. 18 ოქტომბერს, ღამის თერთმეტის ნახევარზე ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი... შვიდ ბანდიტს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ხოლო ორს კი ათ ათი წლით კატორღა—თავისუფლების აღკვეთით და ქონების ჩამორთმევით. შვიდზე სიკვდილით განაჩენი იყო მოყვანილი სისრულეში კვირას, თერთმეტის ნახევარზე მთელი მასის დასანახავათ... იშვიათია ისეთი სასამართლოს პროცესი, რომელსაც მასაში ამოდენა ინტერესი გამოეწვიოს. ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები მენშევიკები, რომელთა აგენტები აღმოჩნდენ ეს ბანდიტები ამ საზიზღარ სიმხეცეზე აშენებდენ საძაგელ პროვოკაციას. მთელი ეს ერთი წელიწადია ამბობდენ: „მოვიდენ კომუნისტები და მათი წითელ არმიელები, ჩაიდინეს უმაგალითო ბოროტება-ყაჩაღობა, ამოხოცეს ოცი სული და არხეინათ გზას გაუდგენ, აბა ვინ გამოჩნდება, რომ ამ ბანდიტებს დაიჭერს და გაასამართლებსო". ვიმეორებ, მენშევიკების ხელში ის იყო პოლიტიკური ბრძოლის იარაღი ჩვენ წინააღმდეგ, რითაც მთელი სიღნაღის მაზრის გლეხობას აღელვებდენ და ბანდიტიზმს, ჩოლოყაშვილის მეთაურობით ხელს უწყობდენ. 22 ოქტომბერს როდესაც მთელი მაზრა ხედავს თავის თვალით ელაშვილის ოჯახის ამომწყვეტ ყაჩაღების დახვრეტას, ჭეშმარიტად, ეს აქტი ახდენს ისეთ დიდ გავლენას, რომ დაიმსხვრა სრულიად მენშევიკების პროვოკაცია... ასე სასტიკი და შეუბრალებელია მუშურ გლეხური ხელისუფლების მართლმსაჯულება, რომლის ხმალი ისე ძლიერათ სცემს, რომ მის წინაშე კრთის ყველა ის ქვემძრომელი და ორგული, მავნე ელემენტები ვინც ხელს უშლის მას მუშათა საქმის განმტკიცებაში.

დ. ნახარიძე.

სწავლა-განათლ. საქმე საქართველოში

სენაკის მაზრა.

სენაკში და მთელ სენაკის მაზრაში სწავლა-განათლების საქმე წარსული სასწავლო წლის განმავლობაში დაკმაყოფილად უნდა ჩაითვალოს. სიამოვნებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტსა და განათლების განყოფილებას შორის მჭიდრო და თანხმობითი კონტაქტი ყოფილა დამყარებული. სწორეთ ასეთი თანხმობითი მუშაობით აიხსნება ის გარემოება, რომ სწავლა განათლების გავრცელების საქმე და მისი უფრო სასურველ პირობებში ჩაყენება დიდ სიყვარულსა და თანაგრძნობას იწვევს ადგილობრივ მკვიდრთა შორის.

წარსული სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ სენაკის განათლების განყოფილება დაუყოვნებლივ შესდგომია სკოლების რემონტის თავდარიგს და სასურველ შედეგებისათვის მიუღწევია. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა და განათლების განყოფილების თაოსნობით მთელ მაზრაში გაუტარებიათ ეგრედ წოდებული „სკოლების სარემონტო ორ კვირეული"—კომპანია, რომელშიაც მთელი მაზრის მკვიდრს, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, იშვიათის გულმოდგინეობით, სრული თავისი ნებაყოფლობით მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მეტად სასურველ შედეგებისათვის მიუღწევიათ. განათლების განყოფილების გამონაგარიშებით მთელ მაზრაში ადგილობრივ მკვიდრ მუშათა უსასყიდლო ძალისა, ქვისა, კირის და ხის მასალის მოზიდვის და შემოწირულების სახით, სკოლების სარემონტოდ გაუღია არა ნაკლებ 20 მილიარდი მანეთისა. ამნაირად მთელს მაზრაში სკოლების 90 პროცენტი მაინც შეკეთებულია.

ადგილობრივ ხელისუფლებას და განათლების განყოფილებას წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში მიუღია საჭირო ზომები მასწავლებლების გაჭირვების შესამსუბუქებლად.

მართლაც, ადგილობრივ ხელისუფლებას განათლების განყოფილების შუამდგომლობით მასწავლებელთათვის დაუთმია მიწის განსაზღვრული ნორმები და უსასყიდლოთ დაურიგებია სიმინდის საჭირო სათესლი.

წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში განათლების განყოფილებას ყველგან მოუწყვია კონფერენციები და სათანადოდ გაუშუქებია ახალი სკოლის უმთავრესი პრინციპები. განყოფილების გამგესა და ინსტრუქტორებს წლის განმავლობაში უშუალო ხელმძღვანელობა გაუწევია სენაკისა და მაზრის სკოლებისათვის სისტემატიური დათვალიერების სახით და ყველგან საჭირო განმარტება მიუცია მასწავლებლებისათვის.

კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამები მასწავლებლებს შეუსრულებიათ, ვინაიდან სწავლა წარსულ წლის განმავლობაში სასწავლებლებში სულ მცირედის გამონაკლისით ნორმალურად მიმდინარეობდა.

განათლების განყოფილებას, რამდენადაც შესაძლებელი იყო ადგილობრივი პირობების მიხედვით, სასწავლებლები შეეჯგუფებია და შეემოკლებია. ამ ჟამად ამ შემოკლების შემდეგ მთელ მაზრაში დატოვებულია: 1) ოთხი ტეხნიკუმი: ორი სენაკში, ერთი მარტვილში და ერთიც აბაშაში, 2) ორი სამეურნეო დაბალი ტიპის სასწავლებელი, 3) ერთი საბავშო სახლი, 4) ას-ოცდა თვრამეტი შრომის სკოლა, რომელთაგან 18 სრულკომპლექტიანია, ხოლო ას ოცი არა სრულკომპლექტიანი.

კომისიამ მოახდინა შემდეგი განკარგულებანი:

1. ვინაიდან სენაკის მაზრის ტეხნიკუმებს ფიზიკის კაბინეტებისათვის საკმარისი იარაღები და სხვა აუცილებლად საჭირო მოწყობილობა არ მოეპოვება—დაევალოს განათლების განყოფილებას დაუყონებლივ აღძრას სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რომ ამ უკანასკნელმა ადგილობრივი საშუალებიდან ამ ჟამად გადასდოს 150 მილიონი მანეთი ფიზიკური კაბინეტების იარაღების და სხვა მოწყობილობის შესაძენად.

2. დატოვებულ იქნას მარტვილში მომავალ სასწავლო წელს ტეხნიკუმი იმ პირობით, თუ განათლების განყოფილება უზრუნველჰყოფს ამ ტეხნიკუმებს უმაღლესად კურს დამთავრებულ მასწავლებლებით.

3. დაევალოს განათლების განყოფილებას განაგრძოს კიდევ სასწავლებელთა შეჯგუფება და შემცირება იმ პირობით, რომ მოწაფეები არ დარჩნენ სასწავლებელთა გარეშე.

4. ნება მიეცეს განყოფილებას, საჭირო შემთხვევაში, დასდოს სათანადო ხელშეკრულება, რათა ადგილობრივმა თემებმა კოლექტიურად შეინახონ სასწავლებლები თავისი ხარჯით.

5. პრინციპიალურად დადასტურებულ იქნას სენაკის პედაგოგიური ტეხნიკუმის არსებობა და დაევალოს განათლების განყოფილებას წარუდგინოს კომისარიატს დასაბუთებული მოხსენება ამ ტეხნიკუმის ორგანიზაციის შესახებ განსახილველად და საბოლოვოდ დასამტკიცებლად.

6. დაევალოს განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მმართველობას აღძრას შუამდგომლობა სასურსათო კომისარიატის წინაშე, რათა სენაკის საბავშო სახლის 50 ბავშვი მიღებული იქმნას სახელმწიფო ხარჯზე და უზრუნველყოფილ იქნეს სურსათ-სანოვაგით. წინადადება მიეცეს ამავე კომისარიატის ადმინისტრატიულ სამეურნეო მმართველობას გადასდოს თავისი საწყობებიდან ამ საბავშო სახლისათვის საჭირო სასწავლო ნივთები. მიეცეს ახლავე სენაკის საბავშო სახლს სურსათ-სანოვაგის შესაძენად კომისარიატის საშუალებიდან 15 მილიონი მანეთი.

7. დამტკიცებულ იქნას სენაკის განყოფილების განათლების შტატი შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების გამგე—ერთი, ინსტრუქტორი — სამი, მათ შორის ერთი განყოფილების გამგის მოადგილეთ — საქმისწარმოებელი—ერთი (იგივე მოანგარიშე); მემანქანე—ერთი (იგივე რეგისტრატორი) და დარაჯი—ერთი.

8. დაევალოს სენაკის აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივი საშუალებიდან დააკმაყოფილოს ჯამაგირებით: 1) ყველა ტიპისა და საფეხურის ტეხნიკური მომუშავენი, 2) სკოლების სანიტარული ექიმები, 3) განათლების განყოფილების შტატის მთელი შემადგენლობა, გამგის გარდა, 4) მასწავლებელთა პერსონალის (400 მასწ.) 25 პროც. და 5) მიიღოს ყველა სასწავლებლის მთელი სამეურნეო და რემონტის ხარჯები.

9. ვინაიდან სენაკის მაზრა ეკონომიურად მეტად დაზარალდა უკანასკნელი წყალდიდობის გამო, აღძრულ იქნას ცენტრალურ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა სასკოლო ხარჯების ადგილობრივი საშუალებიდან დაკმაყოფილების საკითხის გარჩევის დროს მიღებულ იქნას მხედველობაში ამ კუთხის სტიქიური უბედურების გამო დაზარალება.

10. დაევალოს განათლების განყოფილებას მასწავლებელთა კონფერენციებისა და ყრილობის ოქმები და თეზისები იგზავნებოდეს კომისარიატში ცნობად და საჭირო შემთხვევაში, საჭირო ზომების მისაღებად.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

(რეზოლიუცია).

მოისმინა რა მოხსენება, ცაბაძის და კარაპეტიანის, საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობის შესახებ, მე 2-რე პურ. საც. მუშების, რიცხვით 100 კაცის საერთო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველათ აუცილებლათ საჭიროა თანამშრომლობა საბჭოთა რესპუბლიკების, საერთო ძალით ეკონომიური აღდგენა და გამაგრება,—მე 2 პურ. საც. მუშათა საერთო კრება ესალმება საბჭოთა რესპუბლიკების შეკავშირების იდეას და გამოსთქვამს მხურვალე სურვილს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. ბელორუსია, უკრაინა და ამიერ კავკასიის ფედერაცია, შექმნიან ახლო მომავალში კავშირს საერთო ფედერატიულ ც. ა. კ. ით სახალხო კომისართა საბჭოთი, მუშების და გლეხების ინტერესების დასაცავათ და მსოფლიო რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

გაუმარჯოს კომინტერნს და მის ბრძოლას მცარცველ კაპიტალისტების და იმპერიალისტების წინააღმდეგ"!

ვაჭრობა-მრეწველობა

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით ამერიკულ ფქვილის და შაქრის ფასი მტკიცდება. მოედანზე გავრცელებულ ხმების გამო რკინის გზის დაზიანების და წყალდიდობის შესახებ, ბევრი ფირმები აღარ ჰყიდიან საქონელს.

ადგილობრივ ხორბლის და ფქვილის ფასები უცვლელია. ძალიან გაიაფდა ქერი. ძველებურად ძვირია ნარმა. დანარჩენი მანუფაქტურის ფასმა დაიკლო, დაეცა ფასი ადგილობრივ მარმარილოს საპონზე. საქონლის ფასები შემდეგია: ამერიკული ფქვილი „ნელსონ"—800, „დურუმი"—550—560, „ამაზონი"—450—460, რუმინის—630—640, ადგილობრივი—240—300, კაკაჯის—420—570, სიმინდის ფქვილი—130, სიმინდი—120—125, ავსტრალიის ხორბალი—240—300, შაქარი რაფინადი—3 ტომრ. ფუთი—4700—4800, ამერიკული შაქრის ფხვნილი ფუთი 930—950 სახარინი „სოლიფრონსი"—კილო—3.500, ბიაზი ნაჭერი—3 200—3250, ჩითი იარდი—40—55, ინგლის შევიოტი არშინი—700—1200, შევიოტი უბრალო—350—560. აგრეთვე არის გამოტანილი დაბალი ხარისხის შევიოტი 200 ათასი არშინი.

სატინა არშინი 65—100, მადაპოლამი ნაჭერი—36 იარდი—2.000, საპონი სარეცხის „ტოლლე" ფუთი—1150, მარსელის საპონი „შამალი" ფუთი 50 კილო—3800, დანარჩენი ხარისხისა—3700, მარმარილოს ადგილობრივი საპონი ფ 750—950.

შედარებითი ცხრილი.

უცხოეთის ვალიუტის კურსი კონსტანტინეპოლში და ტფილისში ოქროს მანეთებში და კაპეიკებში.

	კონსტანტინოპოლში	ტფილისში
სტერლინგი	9,34 მ.	9.11 მ.
დოლარი	2,06 მ.	2,09 მ.
ფრ. ფრანკი	15,6 კ.	15,2
იტალიის ლირა	8,8 კ.	8
გერმ. მარკა	0,06 კ.	0,11
ოსმალ. ოქ. ლირა	8,64 მ.	8,21 მ.
ოს. ქაღ. ლირა	1,24 მ.	1,42 მ.

სახალხო სასურსათო კომისარიატში.

— **ნატურით ანგარიშის გასტუმრება.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს 200 მილიონი მანეთის მანუფაქტურა დაუთმო იმ ვალის ანგარიშში, რომელიც რკინის გზას ეკუთვნის სასურსათო კომისარიატის ტვირთის გადაზიდ-გადმოზიდვაში.

— **ბრინჯის შესყიდვა.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, შეიძინოს „მუღანის სამელიორაციო აღმშენებლობისაგან" (შუგმელსტროი) დიდი პარტია ბრინჯი.

— **ყველის რეალიზაცია.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, საკოოპერაციო ამხანაგობა „რძის" საშუალებით დამზადებული ყველი მოსკოვში აგზავნოს რეალიზაციისათვის.

ქრონიკა

◆ **სამრეწველო აღწერა.** სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა თბილისში უკვე დასრულდა, საქართველოს დანარჩენ ადგილებში დასრულდება ერთი კვირის განმავლობაში. აღწერა ჯდება 87 მილიონი: საქ. უმაღლეს სამეურნეო საბჭომ გაიღო 40 მილიონი, თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა—24 მილ., ფინანსების კომისარიატმა—9 მილ., ცენტრ. სტატ. სამმართველომ 14 მილ. აღწერას ხელმძღვანელობს ც. ს. ს. არსებული საალწერო ბიურო 3 კაცისაგან შემდგარი გრიგორიანის თავმჯდომარეობით და უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან არსებულ სტატისტიკურ განყოფილების გამგის მონაწილეობით.

◆ **ცენტრალურ დამზღვევი სალაროს ნახევარი წლის მოკლე ანგარიში.** 1922 წელს 1 იანვრიდან 1 ივლისამდის სალაროში ითვლებოდა 42,245 წევრი. ამათ რიცხვში არ შედიოდნენ რკინის გზელები, რომელთაც აქვთ საკუთარი დამზღვევი კასა. სალაროს წევრთა შორის მეტი რიცხვი საბჭოთა მოსამსახურენი არიან, 6231; შემდეგ საექიმო და სასანიტარო განყ. მოსამსახურენი—4618 და სხვ. ავადმყოფების საერთო რიცხვი—2458. სიკვდილით შემთხვევა სალაროს წევრთა შორის იყო 215. დასამარხავათ მიეცათ დახმარება 276,275,000 მან. სალაროს წევრთა ოჯახის წევრების სიკვდილის შემთხვევა იყო 505. მათ დასამარხავათ მიეცათ დახმარება 191,160,000 მან. შობიარობის შემთხვევა წევრთა შორის იყო 130. მათ მიეცათ სამი სახის დახმარება: ერთდროული—56,500,000 მ., რძის—41,619,000 და შვებულების—171,808,000 მ. შვებულების დღეების რიცხვი 7165. საერთოდ სხვადასხვა ავადმყოფობის, სიკვდილის შემთხვევის და შობიარობის გამო სალარომ გაიღო დახმარება—2,000,387,263 მან.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ფაუსტი"

26 ოქტომბერს დაიდგა შ. ჰუნოს ოპერა „ფაუსტი". ოპერა „ფაუსტის" ავტორმა არც კი იცოდა, რომ მისი ქმნილება ისეთივე დიდებული იყო, როგორც თვით ის დიდებული შინაარსი, საიდანაც გადმოიღო თავისი მელოდიების ასამეტყველებლად. ზოგიერთმა კრიტიკოსმა უთხრა ავტორს, რომ თქვენი ოპერაც ისეთივე პოპულიარობას მოიპოვებს, როგორადაც თვით გიოტეს „ფაუსტიო". ავტორმა მალე თავისი თვალით ნახა ის ტრიუმფი, რომელიც „ფაუსტს" ერგუნა ყოველ საოპერო სცენაზე. დღევანდელ დღემდე ეს ოპერა ამშვენებს მსოფლიო საოპერო ლიტერატურას. ის ლირიული ექსტაზი, რომლითაც სავსეა ეს პარტიტურა, ის დაუშრეტელი მელოდიური კასკადი დღესაც ისევე ხიბლავს მაყურებელს, როგორც ამ ნახევარ საუკუნის წინად.

ოპერას დირიჟორობდა ივანე ფალიაშვილი. მისმა დიდმა ესტეტიურმა ალღომ და ნიჭმა სავსებით შესძლო ჰუნოს ოპერის ფერადების გადმოშლა.

მეფისტოფელი—მოქ. შარაშიძე ძალიან კარგი იყო. მისი ბასი მაღალი რანგისაა. საუცხოვო სუნთქვა აქვს, დიდი დიაპაზონი და მღერის როგორც ნამდვილი ვირტუოზი. მოქ. შარაშიძეს აქვს დიდი ვოკალური კულტურა. სცენიურ მხრითაც მოქ. შარაშიძეს აქვს ორგინალური შტრიხები და ამ მხრით იგი დამაკმაყოფილებელია.

რა ლამაზი, მოხდენილი ხმა აქვს მოქ. სეპრიშევსკაიას (მარგარიტა) მღერის დიდი მუსიკალობით საუცხოვო ფრაზირობით და მისი ხმა ყოველ რეგისტრში მომჯადოვებელია.

მოქ. ლევიცკის (ფაუსტი) ხმა დიდი აქვს, მაგრამ მას აკლია მოქნილობა, პლასტიურობა. აქვს მეტალიც, მაგრამ ნაკლები მუსიკალობა.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოქ. კრივანოვსკიმ (ვალენტინი) მას კარგი ლირიული ბარიტონი აქვს, თუმცა პატარა დიაპაზონის მაგრამ მოხდენილი.

„ვალპურგის ღამეში" ბალეტმა ორგიული ხაზები შეიტანა და ეს არ არის მოსაწონი.

არმან დიუვალ.

—

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში აკაკი ფალავას რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება დავით კლდიაშვილის პიესები: პირველად—ერთმოქმედებიანი დრამა „უბედურება" და განახლებული „ირინეს ბედნიერება".

— **მომღერალი დოლონაძე თბილისში.** რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბარიტონი ვ. დოლონაძე. ამ დღეებში სახელმწიფო ოპერაში შესდგება მისი გასტროლი. მომღერალი გამოვა „დემონის" პარტიაში.

— **კინო სტუდია „ეკრან".** სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტის ნებართვით გაიხსნა კინო-სტუდია „ეკრან" მარზოიანის, მოისეევის და კოვალენკოვის ხელმძღვანელობით.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში, ქ-ნ მარგოს ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე „საიათვა". 4 მოქ. ბალეტით პატარა ებერტის მონაწილეობით.

◆ **სახელმწიფო ოპერა.** შაბათს, 28 ოქტომბერს გადის ქართული ორიგინალური ოპერა ვიქტორ დოლიძეს „კოტე და ქეთო". სამშაბათს, 31 ოქტომბერს გამოჩენილი ქართველი მომღერალი პეტროგრადის მარიინის თეატრის სანდრო დოლონაძის მონაწილეობით „დემონი". ბილეთები იყიდება ამასთანავე თეატრის კასაში.